საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-11/85

ქ. ბათუმი 14----დეკემბერი, 2016 წ.

ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის შემადგენლობისა და გასაუბრების დროს განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე, 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-58-ე მუხლების, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის №02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის“ და ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის 02 დეკემბრის 01-11/81 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის 02 დეკემბრის 01-11/81 ბრძანებით გამოცხადებული ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ჟანა ჯიბლაძე (ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი) - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) გიორგი დიასამიძე (ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი) - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

გ) ხათუნა აფაქიძე (ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი) - კომისიის წევრი/ მდივანი;

დ) ზურაბ კვირკვაია (ბსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი) - კომისიის წევრი;

ე) ლია გაბაიძე (ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი) - კომისიის წევრი;

ვ) თამთა ვარშანიძე- (ბსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე) - კომისიის წევრი;

2. გასაუბრება ჩატარდეს 2016 წლის 15 დეკემბერს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 10:00 სთ-დან 12:00 სთ-მდე (ქ. ბათუმი, ნინოშვილის N35, ოთახი N4).

3. კომისიამ იხელმძღვანელოს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის №02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის“, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის 02 დეკემბრის 01-11/81 ბრძანებითა და წინამდებარე ბრძანებით.

4. ბრძანება გასაცნობად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და კომისიის წევრებს.

5. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს ბსუ–ს კანცელარიას.

6. ბრძანების ბსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურს.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ჯემალ ანანიძე**